

ლოქსნუმი

გაზეთი გამოდის
1988 წლიდან

რადიონის საზოგადოებრივ-კულტურული გაზეთი

№32 (6526)

13 აპრილი

სუთუბაბატი

1992 წელი

ხილი არის და მყიდველი...

გამყიდველი?

ხილის დამზადების სეზონი დაიწყო. წელს ხეხილის ბაღებს მსხვილიარობას ვერ დავემ-
კრებით, განსაკუთრებით კურ-
კინისა. ტყეშილი უკვე შემო-
ცდა, მისი მოკრეფა ჩაბარების
საშუალოდ სწორედ ახლა.
რაიონის მშრომელთა წელს
სახელმწიფოს 6500 ტონა ხილი
უნდა მიჰყიდოს. ეს სერიოზული
დეკლარაციაა. მასი შესრულების
თვის ბრძოლა ჯერჯერობით არ
ჩანს. მოსახლეობა თავს იკ-
ვებს, ხილის ჩამბარებლებსა
სურსათო კომბინატთან თითო-
ორიოლა თუ გამოჩნდება, და-
მწიფადებელ პუშქებში კი საე-
როოდ არაფერია.

შარშან ჩაბარებული ხალის
ისედაც დაბალი ანაზღაურება
წელსაც მიუღებელი აქვთ მესხ-
ლეებს. ხილის მიმღები ქარხნები
კოტრდენ და ჩამოურცილები
ქვეთ დავლაანება, რაც მო-
სახლეობის აღშფოთებას იწ-

ვევს. აქედან გამომდინარე, ბუ-
ნებრივია, ძნელია მათთან საუ-
ბარი წლებადელი წლის დავა-
ლებზე.

მაგრამ არის ერთი რამ—ლე-
ჩხუმელი მშრომელები ყოველ-
თვის გაგებათ ეკიდებოდნენ შე-
ქმნილ მდგომარეობას. საქმე ის
გახლავთ, რომ რაიონის ეკონო-
მიკის ძირითადი წყარო ბაღი
და ვენახია, ჩვენ ხალი ნედლე-
ულის სახით ან მისგან მიღებუ-
ლი პროდუქტია. თუ არ გავცუბ-
ლეთ რაიონის გარეთ აუცილე-
ბელი მოხმარების ისეთ საქონე-
ლზე, როგორცაა შეპარი,
ფქვილი თუ სხვა, ანელია ვისი-
მე იმედი გვექნეს. დღეს კარს
ტროფულად უჭირს რესპუბლი-
კის ფონდსა და ცენტრალიზე.
ბულ მოწოდებას კი დავემშე-
დობეთ. ამიტომ, ვფიქრობთ,
ნამეტი-ხილისა და სხვა სასოფ-
ლო-სამეურნეო კულტურებს
მოსავლის სახელმწიფოსათვის
ჩაბარება ისევ ჩვენს მოთხო-
ვანებათა დამყარებლებს მო-

ხმარდება.

ცოგარის სასურსათო კომბი-
ნატი მობილიზებულია ხილის
მიღებისათვის. აქ 200 ტონა კუ-
რკოვანი ხილის მიღების შესაძ-
ლებლობა აქვთ. კილოგრამი
ტყეშლას ფასი 1 მანეთი და 20
კაპიკია. ეს ანაზღაურება ძლ-
ზე დაბალია, მაგრამ კომბინატი
მოსახლეობას სთავაზობს ადგი-
ლზე ტრანსპორტითა და ტარბ-
მასალით მომსახურებას, დამამ-
ზადებელს ფულადი ანაზღაურე-
ბაც შეუძლია ხელზე გასცეს,
ხილებს ჩამოყრილ ტყეშალსაც,
ოღონდ ჯანსაღს, ჩარისხინას.

დიახ, ხილი ბლომადაა წელს.
ბევრა იძულებულია არყად გა-
მოხდოს იმის გამო, რომ არაბ
ორგანიზებული მისი ტრანსპო-
რტირება-ჩაბარება. ამის სა-
შუალება კომბინატს წელს
აქვს. ამიტომ დამამზადებლები,
საქრებულები, ყველა-გვერ-
დით უმლა დავუდგეთ მოსახ-
ლეობას, რომ ქარბი ხალის
ანაზღაურებითაც ხელი წაშვე-
ლონ ამ დუხჭირი დროის გამო
დასაცოდებულ სოფლებს ბიუ-
ჯეტს.

რეზონანსი

ში?—ამ კითხვებზე პასუხს
ბათ მომავალი საგანგებო
ნთვის დღესათვის მოგვითხრობენ

ალიაკაბა პაკოა, თუ...

1992 წლის 31 ივლისი მა-
რთლაც რომ ღირსსახვარ
თ რილად დარჩება ჩვენი ერის
ისტორიაში საქართველოს რეს-
პუბლიკა გაერთიანებული ერე-
ბის ორგანიზაციის სრულუფლე-
ბიანი წევრი გახდება. ახლ სპ-
ქართველო სხვა თავისუფალი
ერების გვერდითაა ამ დიდი
ავტორიტეტის მქონე ორგანი-
ზაციაში. თათქოს ახლ
ზღუბლთან ვდგავართ. რბს
მოგვიტანს სახვალოდ ეს ალია-
რებული სახელმწიფოებრიობა,
რბ შეიცვლება სასიკეთოდ ჩვე-
ნი ერის გაწამებულ ცხოვრება-

ცხო პარბლებს ქვეყნის გა-
მწვავებელი შინაპოლიტიკური
საკითხების დარეგულირება, ეკ-
ონომიკური საკითხების მო-
წესრიგება წარმადგენს.
ამისაკენ უნდა იყოს
მიმართული ყოველი ქართვე-
ლის აზრი და გონება, დაწყე-
ბული მთავრობის მეთაურიდან
მიწის მუშით დამთავრებული.
ალიარება მართლაც კარგია, თუ
იგი საწინდარი (საქმით და პარ-
სიტყვით) გახდება ჩვენი ეროვ-
ნული სულის და სხეულის აღო-
რძინებისა.
3ლ. დავითულიანი.

შეკიგებისკენ გადადგმული ნაბიჯი

დღის როგორც არასდროს,
საქართველოს რეალური თავი-
სუფლებისათვის, მშვიდობისათ-
ვის, არჩევნების აუცილებლად
ჩატარებისათვის საჭიროა ერ-
თიანობა, სიყვარული, მადლ-
პატივითა—გაფრთხილებს 31
ივლისი, დღე, როცა დაგვდეს
პატივა და მივიღეს სანუკუბარ
საზოგადოებაში—გაერთიანებუ-
ლი ერების ორგანიზაციაში. ახ-
ლ მაინც უნდა მოვეგოთ გონს,
შევიფეროთ ეს დიდი პატივი.
სწორედ ამ ისტორიული ფაქტის
აღნიშვნის სახალხო ზემოი გაამა-
რთა 4 აგვისტოს თბილისში, რეს-
პუბლიკის მოედანზე, სადაც მი-
ღებულ იქნა საქართველოს რეს-
პუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
მანიფესტი.
მანიფესტი მოგვიწოდებს შე-
რიგების ურთიერთმიტევების
სიყვარულისაკენ, გვიჩვენებს
ხვალინდელი ბედნიერი საქართ-
ველოს გზებს.
თინა სალინაძე.

უნდა გაგვანატი- ან.უს

ახლდ ოცნება—საქართველო
გეროს წევრია, სრულუფლე-
ბიანი წევრი მსოფლიოს ერთ-
დიდი ოჯახისა, ეს დიდ სახარუ-
ლთან ერთად დიდ პასუხისმგებ-
ლობას გვაკისრებს. პასუხის-
მგებლობას იმისას, რომ მსოფ-
ლომ ირწმუნოს ჩვენი ისტო-
რიით, კულტურას ღონით ვი-
მსახურებთ მოწინავე ერების
გვერდით თანადგომას. ამასთან
აუცილებლად უნდა დავიცუბოთ
იქ მიღებული წეს-ნორმები და
პრინციპები, მოვწესრავდეთ ში-
ნაც და სახელმწიფოთა და ერთ-
შორის ურთიერთობაშიც.
31 ივლისი ისტორიული დღეა.
სრულიად საქართველოსთვის,
ამ დღემ უნდა გაგვანატიანოს
ყველ—განურჩევლად ჩვენი.
პოლიტიკური მრწამსისა და
შეხედულებისა.

კოვკაგენი წყარო

დღითიღე იცვლება ჩვენი ყოფა, ეკონომიკური ურთიერთო-
ბანი. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ვაბიძულებს სრულ-
ყოთ საგადასახადო საშუალები, რომელიც ეკონომიკური რეფო-
რმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რკალს წარმოადგენს. ახალი
საგადასახადო სისტემა არაბ დაზღვეული ცვლილებებისაგან. ამ
დღეებშიც ტელევიზიით მოვისმინეთ ინფორმაცია დამატებული
ღირებულების 28 პროცენტის განაკვეთის შემცირების შესახებ.
ამ სიახლეს და საგადასახადო ინსპექციის რთულ და საა-
სუხისმგებლო ამოცანებზე გვესაუბრება ცაგარის საგადასახადო
ინსპექციის უფროსი მირაბ გუბაშვი.

ჩვენი საგადასახადო სისტე-
მა, არ ვაპირებთ და, რთულ
საბასუხისმგებლო საქმეს აკეთ-
ებს მშრომელთა და სახელმწიფო-
ს სასარგებლოდ. მაგრამ მისი
სტრუქტურა ვკლავ მოითხოვს
დახვეწას, სრულყოფას. ჩვენ
დღეისათვის ვხელმდგანელობთ
რესპუბლიკის მინისტრთა კაბინე-
ტის დადგენილებით შემოღებუ-
ლი გადასახადების დროებითი
ნებულებებით.
ჩემის აზრით, ძალზე მნიშვნე-
ლოვანი ღონისძიებაა დასატე-
ბული ღირებულებებზე გადასახად-
ის შემცირება დიდსა თუ მცირე
საწარმოზე. 28-პროცენტის
საგადასახადო განაკვეთი აშკა-
რბ გულისწყრომას იწვევდა,

გარსალონა: ტრიუმფატორთა შორის ქართველებიც არიან

ესპანეთის ქალაქ ბარსელონის
ოლიმპიურ სტადიონზე 15 დღის
განმავლობაში მიმდინარეობდა
ზაფხულის 25-ე ოლიმპიური
თამაშები—ალანეტის უდიდესი
სპორტული ასპარეზობა, სადაც
მსოფლიოს უძლიერეს ათლეტთა
შორის ოლიმპიელის სახელის
მოსაპოვებლად 12 ქართველი
სპორტმენიც იბრძოდა ღირსეუ-
ლად, და დღეს 8 ქართველი
სპორტმენი ბარსელონის ოლიმ-
პიური თამაშების მედალოსნის
სპორტული გამარჯვებით მი-

ღებული ეს უდიდესი
სიხარული განსაკუთრებით საწ-
ეიმოა, რადგანაც მწვავე პო-
ლიტიკური ვითარებით დაძაბულ
ერში სასიხარულო და საბამყო
ნაკლებად მოგვეპოვება. ამიტო-
მაცბა ქართველ ოლიმპიელთა
ეს გამარჯვება დუფინწყარი და
იმედის ნათელი სხივის ტოლფა-
სი საქართველოსთვის.
ბარსელონის ოლიმპიური თბ-
მამების გმირების კაბი კაბია-
შვილის (ძალისხილბა), დავით
ხახბაღიშვილის (ძიუდო) და

ლარი ხახბაღიშვილის (თავისუფალი
სტილის ქიდაობა) ოლიმპ-
იური ოქროს მედლები ქართუ-
ლი სპორტის უდიდესი გამარჯ-
ვებაა.
ამავე ოლიმპიადის ბრინჯაოს
მედლები მოიპოვეს: ხათუნა ქერი-
ვიშვილი (მშვილდოსნობა),
ლელა მესხმა (ჩოგბურთი),
დავით გობეჯიშვილი (თავი-
სუფალი ქიდაობა), რამაზ
ფალაიშვილი (კრივი), გიორგი
კოლუაშვილი (ბერძნულ-რომ-
აული ქიდაობა).

პიკაზიზმისა და სოციალური სურათი

დაიწყო,
მაგრამ
ნაღა...

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 107-ე დადგენილებით გამოცხადებული პობინდრეთათვის ბინების პრიეტკონსტრუქციის კანონი მიზნად ისახავს რესპუბლიკაში შექმნილი საბინაო პრობლემების რეალურსაპარტლერბრივი, სოციალური და ეკონომიკური მექანიზმის შექმნას. პრიეტკონსტრუქციის კანონმა უზღუდა უზრუნველყოფის მოქალაქეთა ბინებით სარგებლობის კონსტრუქციური უფლების რეალიზაციას, რაც შესაძლებელია სახელმწიფო საბინაო ფონდის პრიეტკონსტრუქციით, რის შედეგადაც ამონაგები თანხები მოხმარდება საბინაო მშენებლობის საქმეს.

როგორ მიმდინარეობს ჩვენს რაიონში შემოთავაზებული კანონის განხორციელება? ჯერჯერობით ნელი ტემპით, დღეს მდგომარეობით რაიონში კომუნალური საცხოვრებელ ბინებში ცხოვრობს 284 ოჯახი, მათ შორის კ. ცაგერში 222 ოჯახი. ამბობენ 1992 წლის 4 აგვისტოს მდგომარეობით 53 მოქალაქეს პრიეტკონსტრუქციით გადაეცათ თავისი საცხოვრებელი ბინა, სახლმშენებლობაში სულ წარმოდგენილი 65 ოჯახის განცხადებებიდან დაწინაურდა 12 მოქალაქეს დროებით შეჩერებული აქვს ბინის უსასყიდლოდ გადაცემა, სანამ არ გაირკვევა მათ მიერ ბინების ფლობის ვა-

სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს მთავრობის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საცხოვრებელი ფონდის პრიეტკონსტრუქციის საქმიანობა. როგორც ცხადყო მოქალაქეთა საკუთრებაში ბინების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილების ანალიზმა, ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ეს პროცესი ყოველდღიურად იმის განსაკუთრებით, თუ როგორ მიმდინარეობს პრიეტკონსტრუქციის კამპანია ცაგერის რაიონში, ვთხოვეთ მოეთხოვა ცაგერის საბინაო კომუნალური გაერთიანების სახლმშენებლობის კომიტეტის სილაბამს.

ნონიერება, ამისათვის შექმნილი ბინების პრიეტკონსტრუქციის რაიონული კომისია 11 აქტის შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად ატარებს სამუშაო სხდომებს და იხილავს სახლმშენებლობის მიერ წარდგენილი საბუთების სისწორეს. ბინის უსასყიდლოდ გადაცემისთვის საკმარისი მოზინდრემ წარმოდგინოს სახლმშენებლობაში განცხადება და პასპორტი, დაწინაურდა საბუთები ფორმდება სახლმშენებლობაში, რაც პერაოდულად წარედგინება პრიეტკონსტრუქციის რაიონულ კომისიას, რაიონის გადაწყვეტილების შემდგომ საბუთები იგზავნება უშუალოდ მოზინდრეების ხელით ნოტარიუსში, სადაც ფორმდება ბინის პრიეტკონსტრუქციის ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმების დროს მოზინდრე ვალდებულია გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების 2 წლის ფაქტობრივად დარიცხული თანხა (1990 წლის 1 იანვრიდან 1992 წლის 1 იანვრამდე), ამდენი დროს, მოქალაქე ვალდებულია 1992 წლის 1 იანვრიდან განცხადების შემოტანამდე დარიცხული ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების გადასახადი

გადაიხადოს სახლმშენებლობაში ან შემანახველ საღაროში. შემდეგ მოქალაქეს მოაქვს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ხელშეკრულება 2 ცალკე, რომლის ერთი ცალი ინახება სახლმშენებლობაში და ერთი ცალი იგზავნება კომუნალური საწარმოო კომპანიის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში. ის მოზინდრენი, რომელიც ცხოვრობს კომუნალურ საცხოვრებელ ბინებში და გამოყოფილი აქვთ ქალაქის ტერიტორიაზე სასახლო მიწის ნაკვეთები ან შემდგომ გამოყოფათ, ბინის პრიეტკონსტრუქციის უფლებით ვერ სარგებლობენ, ისინი ჩვეულებრივ დარჩებიან ბინებში, სანამ საცხოვრებელ სახლებს არ შენობენ და გადაიხდიან კომუნალური მომსახურებისა და ბინის ქირას ჩვეულებრივ წესით, ამდენი დროს დროებით ქვემოთხსენიებით მყოფ მოზინდრეებზე ბინები უსასყიდლოდ არ გაიცემა.

დღესდღეობით ბინების პრიეტკონსტრუქციის ტემპი დაბალია, რის მიზეზიც ალბათ ბინათმშენებლობა და თვით ბინის მეპატრონეებიც არიან. საჭიროა ერთობლივი მუშაობა რათა დროულად, დღე-ღამე ვადებში განვახორციელოთ ბინების პრიეტკონსტრუქცია რაიონში.

ლურსუბი,

შენი შვილია

ბატონი მერაბ მამარდაშვილი—მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, ჩვენი დროის უდიდესი ფილოსოფოსი, ჰუმანიტარული ინტელექტი—ლირსეული ქართველი გახლდათ. ბრწყინვალე მოაზროვნე და უმდიდრესი ინტელექტის მქონე მეცნიერი ქართული ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის კოლორიტული ფიგურაა. იგი იყო ეროვნული და პირთ-

თუ მსოფლიოსათვის მერაბ მამარდაშვილი დიდი მეცნიერია, მშობლიური ენისათვის უპირველესად, დიდი მამულში ვიღია, მამარდაშვილი თანესუფლების მოყვარული პიროვნება.

ჩვენთვის, ლექსმელებისათვის, განსაკუთრებით საამაყო მერაბ მამარდაშვილის სახელი, რადგანაც იგი წარმოშობით ლექსმეულია. ბატონი მერაბი შვილია მეორე მსოფლიო ომის მონაწილს, პოლკოვნიკ კონსტანტინე (კოტე) მამარდაშვილს, რომელიც სოფელ ოყურეშ-

მერაბ მამარდაშვილი

ნული თავისუფლების იდეების პრიციპული დამცველი და ამ იდეათა განხორციელებისათვის შეუპოვარი მებრძოლი ეროვნული კონგრესის წევრი, როგორც მისივე თანამებრძოლები წერენ, „ფაქტობრივად ასრულებდა საქართველოს ინტელექტუალური კულტურის სრულყოფილებას წარმომადგენლის როლს ევროპაში და ამერიკაში“.

საზოგადოებრივი მეცნიერულ წრეებში თანხანს სცემდნენ მას, როგორც დიდ მეცნიერსა და საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლს. მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი და გამოცემულია ბატონი მერაბის ათეულობით ფილოსოფიური შრომა.

ქართულმა ფართო საზოგადოებამ მერაბ მამარდაშვილი გაიცნო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლით, რომელიც იბეჭდებოდა და გადაცემოდა რესპუბლიკის სპირტორმაში. საშუალებებით ფორმაციო საშუალებებით სწორედ ლექციებმა ამ ციკლმა მოუპოვა მას პოპულარული ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის სახელი.

იღან იყო, ასე რომ, მერაბ მამარდაშვილი ჩვენი პატარა კუთხის დიდი შვილია, რომლის სახელობაში სახელიც სიდიდესა და სიამაყეს მატებს მეცნიერის წინაპართა მხარეს.

დღეს, როდესაც ჯერ კიდევ ფართო საზოგადოებრიობისათვის ხელმოუწვდომელია მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური შრომები თუ მისი ცხოვრების წინადაც ბიოგრაფიული მომენტები, ლექსმელების საამაყო ვალია, თავიანთი წვლილი შეიტანონ ყველა იმ საქმეში, რომელიც წარმოადგენს მამარდაშვილის, ნიჭიერი ფილოსოფოსისა და დიდი პატრიოტის სახეს.

ალბათ, ამ წერილს მერაბის ახლობელ-ნათესავებიც წაიკითხავენ, ეთხოვთ მათ მოგვაწოდონ მოგონებები, დოკუმენტები, ყველა ის ისტორიული მნიშვნელობის მასალა, რომელიც შეეხება მერაბ მამარდაშვილის პირად ცხოვრებას თუ სამეცნიერო საქმიანობას. ვფიქრობ, ყოველივე ეს საშუალებას მისცემს ერს ბოლომდე გაიცნოს მისი დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიერ განვლილი მოწამებრივი გზის სიდიდე.

ლელა ცხველიანი.

ფიქრები

ლაბირინთში

ყველა გზა რაღაც მიზნისკენ მიდის, ყველა მიზანთან მისასვლელი მრავალი გზა არსებობს, ზოგი უხიფათო, ზოგი ხიფათიანი, ზოგი უზნეო, ზოგი ზნეობრივი. კაცობრიობის ისტორია დიდი მიზნებისაკენ წინსვლის ისტორიაა, ამ მიზნებისაკენ მიმავალი გზების მოსიწვევისა და წარმატებების, ხშირად კი იმედგაცრუებათა ისტორიაა. უმისწო არაბ თვით ლაბირინთის ცრუ გზებზე, რომელთა ბოლოს აუცილებლად წყვდიადი და სიხნულა, ეს გზები ხელახლა უნდა გათვლოდსაწყისში დასაბრუნებლად და იქიდან ახალი, ნამდვილი გზის საძიებლად. ძაღვების, გონების ზეადამიანური დაბაბება სჭირდება კაცს, რომ ბოლოსდაბოლოს იპოვოს ის, ერთადერთი და ჰუმანიტარული.

ჩვენს ლაბირინთში ვართ ახლად, უკვე მოსიწველია მრავალი გზა, იმედით რომ იწყებოდა და კრახით დამთავრდა, ვდგავართ ჩვენი ბედისწერის მზავრული ლაბირინთის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე და კვლავ ვდგომართ აქიდანვე განვკვირ-

პირიქით არჩევნები

ტოტ რომელია გზა ჰუმანიტარული, საბუდუროდ, ჩვენ დიდი ხანია მიეტოვეთ ღმერთი, ამიტომ გაგვიძნელდა ამ გზის პოვნა. ჰუმანიტარული გზა ხომ ღვთის გზაა და მხოლოდ ღვთიური მადლით მოსილ ადამიანებს შეუძლიათ მასზე დადგომა, ჩვენ უნდა შევეძლოთ დაბრუნება ღმერთთან და უფალი მოგვანიჭებს ნათესაობას—დავინახავთ გზას, რომელზედაც ხამს სიარული, დავინახავთ ერთმანეთს და ჩვენს მიზანსაც არ ეწევა კრილოვისეული ურმის ბედი, ერთნაირი მონდომებით, მაგრამ სხვადასხვა მხარეს რომ ეზიდებიან „ლებელ, რაც და შჩუა“.

ჯერ კი ზურგშეკეთული ვდგავართ გზაჯვარედინზე და ესინჯავთ ლაბირინთის ევრაზიულ გზებს, მივდივართ სხვადასხვა მხარეზე და შერეული ლაშის გზავედლად. კარგულები ვუხმობთ ერთმანეთს, ვეღარ ვაგონებთ და კვნივს ჩვენი ველი მომსახურებელი და გამგებელი, შევბრუნდეთ ერთმანეთისკენ, ყური მივუვდეთ ერთმანეთის გულისცემას, იქნებ გულზეს უნდობლობის ლამის მტრობადაცქეული


ყინული და დაეინახოთ მზე მომის თვალეში. სხვა გზა არ არის, ჩვენ უნდა ვიძმოთ მშაყველა სხვა გზას კვლავ სისხლისღვრისკენ, მათამაკვლო-ბისაკენ და საბოლოო პრეგრაშით, ერის თვითმკვლელობისკენ მივყავართ. ამის ხელით დაღვრა-ლი ამის სისხლის ყოველი წვეთი ემატება ერის ცოდვას საწყისს. ეს საწყისი ალუვისებელი როლია და მამინ, ვაი, ჩვენ—ერი შეეწირება საკუთარ ცოდვებს, ჩაინთქმება მათ მორევეში. გვიანლა იქნება თათზე კენანნი, თუმცა კი უკვე ყველა დაინახავს მიზეზს ამ უბედურებისას. საქართველო აღიგებდა პირისგან მიწისა მიუხედავად ალტკინებულ პატრიოტული მოწოდებებით, სა და ზრახვებისა, და რადგან ახლად ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი გონებით, ღვთის მადლით უცხებში გონებით განვკვირვით ის ერთადერთი გზა, უბრუნებულს უკეთესი მიწის ავირჩიოთ—ყველაზე უსისხლო და ამით ზნეობრივი. ჩვენს პარობებში ასეთად არ ჩვენები და ამ გზით ახალი, კანონიერი ხელისუფლების დამკვიდრება მიმდინარეობს. „ზენდის-ტები“, ეროვნული დაუმორჩი-

ლობისკენ რომ მოუწოდებენ ხალხს, ამით წყალს უშვებენ იმათ წისკვილს, ვისაც სავსებით ამაყობილებს არსებული ვითარება, და ისწრაფვის ძველი სტრუქტურების შენარჩუნებისკენ. არჩევნების ჩაშლისადმი სწრაფვით ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ეს ორი ილა ფაქტობრივად ერთ საქმეს აკეთებს და გვაშორებს ქართულ მიზანს. პრეზიდენტის მომხრეთა მიერ ეროვნული დაუმორჩილებლობის იდეის მხარდაჭერას არ შეიძლება კეთილი ბოლო ჰქონდეს, რადგან ეს იდეათა ომი არაა, ესაა ერის ორ ნაწილს შორის ნამდვილი, დაუნდობელი ომი, ორივე ნაწილს (დაყოფა, რა მიმართა უნდა, პირობითი) თავის, საკუთარი სიმაართე აქვს, მალე-მალე მიზნით განმტკიცებული და რადგან თავისი სიმაართის სჯერა, ბოლომდე აპირებს ბრძოლას მის დასაცავად. არცერთი არ აპირებს უკან დახევას და ისე ეწირება „სამართლიან“ საქმეს, უკან არ იხედება. არადა იქ რჩება შეილებოკლუ-ლო, სახლთ მორწყული, დამწყვარი, გაუპატიურებული სამშობლო, რომელმაც არ იტყის,

რომელი შვილი იტაროს. „ზენადისტი“ თუ „შეგარდაშასტი“, როგორ გაუწათლოს გზა იმიერსაცხოვრისში მანაც, როგორ მორჩინოს ჯერაც ძველი კრილობები, რომ ახალს საკუთარი შვილების მიერ მიყენებულს მომარბული შეხედეს, რომ გაძლოს... გაძლოს მანამდე მანაც, სანამ დედის საყვარლისთვის ერთმანეთთან მებრძოლი შვილები გონს მოეგებან და მიხედვიან, რომ თვითონვე კლავენ მშობელს.

ეს დღემ დადგება, ეს დღე უნდა დადგეს. უნდა ვცადოთ და კიდევ ერთხელ მოვხადინოთ არჩევანი. მაკიბელურ პრინციპებს ქრისტიანული კაცობრივობა დავუპირისპიროთ. არ გვინდა სისხლი სისხლისწილ. მიზანს არ ამართლებს ყველანაირი საშუალება. ამის სისხლით გათხიერებული მიწის თავისუფლება შეუძლებელია და მიუღწეველი. ჩვენი მოქმედებით ვღვათ იმ მიწას, რომლის განთავისუფლებაც დავისახავს მიზანად. ჩვენივე სიბრძნით ვახორციელებთ რუს შოვინისტთა ხმამაღალ ზრახვას—საქართველო უპარტეზოლოდ დავუფქრდეთ და ვირჩიოთ არჩევნები ამ ლაბირინთიდან სინათლეზე გამოსასვლელი სხვა გზა არ არსებობს.

ია ხეილიძე.



ანტირაქალი!

28 ივლისს მეტად მყვირალა აფეთქება გაჩნდა ქალაქის ქუჩებში—29 ივლისს კულტურის სახლის სცენაზე მასშტაბური ინიციატივით გაიმართა „მამულის“ მიერ სატელევიზიო მიზნით წარმოგზავნილი ფილმის პრემიერა. ფილმის გმირი, გიორგი მამულაძე, პროგრამის სახელს და გმირობას მონატრებული მასშტაბის დასაინტერესებლად, ვერ ვიტყვი, პროგრამის დაწყების წინ ხალხი საღამოს მიმდევდა და ბილეთის ნაცნობობით თუ იშვიათობით, მაგრამ იგი მანეთი საფასურის პირობებზე მასშტაბურად საკმაოდ რადიკალურად მოიყარა თავი, როგორც იქნა წარმოადგინა დიქციონარი.

ეს არაა ჩემი მონათხრობი, ასე ვთქვათ, ცენტრალური ნაწილი, სცენაზე გამოსულმა ქალბატონმა დარბაზს დასცქერა და პროგრამის პირველი ნომერი გამოაცხადა. აი, მაშინ დაიწყო თუ დაიწყო სანახაობა. მასშტაბური ჯერ დაიწმა, არაბის ეგონა, სანახაობა თუ არა, ბოლოს საქართველოში, ასე ვთქვათ, ასეთი ესთეტიკურად ნაკლებად განვითარებული კუთხე (შეუბრალებელი არაა ვაყენებ), რომლის მასშტაბებშიც მსგავსი რამის შეკადრება საქველმოქმედო მიზნით (როგორც თვითონ განაცხადებს და რასაც კულტურის სამინისტროს მიერ დამოწმებული პროგრამა ადასტურებს—

და) ან თუნდაც სხვა მიზნით ჩამოსული კოლექტივი „დიდური პროგრამის“ (ესეც თავად განაცხადებს) მთელი სასწაული კი თურმე წინ გვედგოდა. ერთ-ერთმა მომღერალმა იშვიათი მონდომების წყალობით შეძლო ისტერიკამდე მიყვანა მასშტაბურად.

ტყუილად
ნუ
გაირჩევი

ელა, ქართულ ხალხურ საკრებზე, ვიმეორებ, ეროვნულ საკრებზე შესრულებული ქართული სიმღერის ერთ კუბლეტს იქვე მის რუსულ თარგმანს მოაყოლებდა ხოლმე, მეტი ეფექტის მოსახდენად ერთი-ორჯერ დარბაზშიც ჩამოვიდა, ეტყობა, შეეშალათ და საქართველოს რომელიმე შერეულეროვნად რაიონში ეგონათ თუ, თორემ ლენინში ქართული სიმღერის რუსულად თარგმანს, მათემატიკის ფუნდამენტურ დამოკიდებულებას, ვის რაში კირებოდა, ისე, რუსული რომ კარგად იცოდნენ, ეს მერც გამოვლინდა. სკანტინებში, ახალგაზრდობა ახალგაზრდობა და უცებ აულო ბლოკი ქველმოქმედ კოლექტივს, მალე შესანიშნავი გასართობი გარემო შეიქმნა თვისთვის, რაც სტენ-ბში, ტაშის გადუქარებულ დაკვრას და უწყალო რეპლიკებს.

ში გამოიხატა. ახლა მხსენდება საბაიონო კულტურის სახლის დირექტორის დარეჯან სალინაძის სიტყვები: „შინაურ მოვლელს შენობა არა აქვს, აწი მაინც დაბუხებენ ჩვენს სპექტაკლებსო“. მართლა და ეს რა ცუდი თვისება გვაქვს, სანამ სხვის ცუდს არ ვნახავთ, ჩვენს კარგს არაღვანავებთ.

წესით ქველმოქმედ სტუდენტებს ლენინში გასტროლების შესანიშნავი გამოცდილება უნდა მიეღოთ ორბელში ჩატარებული საღამოს შემდეგ და ხელი უნდა აეღოთ შემდგომ მოგზაურობაზე. მართალია, ეს პროგრამა მასშტაბურად მასშტაბურად აგებულია, მაგრამ სტუდენტ-მასპინძლობის წესისთვის მაინც უნდა ეცათ პატივი იმათ, ვინც ამ კოლექტივს შეურაცხყოფა მიუყენებდა და ლენინში მისი მოქალაქეების ცემა, აბა, რა საკადრისა.

აქედანვე გადმოხილეთ: ამავე დონის პროგრამით და ხალხის გამასხარებების მიზნით, როცა ხელოვნება უგულვებელყოფილია და უპირატესობა ფულით მოხვედრის ხელობას აქვს, ნუბრები ჩამოიშორებოდა ცეცხლში, თუ მაინც და მაინც, ბილეთების ფული წინასწარ აკრებოდა ორგანიზაციებში, როგორც ეს ამას წინათ ტყუილში გაბრუნდა ერთმა კოლექტივმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კონცერტის ჩატარებულ მიზანძღვნა.

მადონა მახაროვლიძე.

და მაინც... მოგზაურობით
ჩვენთან

ჩემი ორმოცწლიანი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებიდან გამოვინარჩუნე ყველა მშობელს და ახალგაზრდას ვეცადი, მთავარი მოსწავლე იარაღის პროფესიონალი მიღწევილები და უნარის მიხედვით.

სასწავლებლის პედაგოგობა მშობელთა და მშობელთა მომდევნო მუშაობის შედეგია ის, რომ ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი სწავლას აგრძელებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ბევრ დღეში მომენტზე შეიძლება გველაპარაკება, მაგრამ მინდა გულწრფელად ვუთხრა ჩვენი რაიონის ახალგაზრდობას და მათ მშობლებს, რომ მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა რაიონის ერთდერთი პროფესიონალი სასწავლებელი მრავალი სირთულის და სიძნელის წინაშეა, მიმდინარე გარემოში, ის პროცესებს გარდა უარყოფითისა, ჯერ არაფერი სიკეთე არ მოუტანია. თითქმის თვით მასწავლებლები და მშობლები ალბათ არიან ისეთები, როგორც 3-4 წლის წინ იყვნენ, ყველაზე და ყველაფერში იმატა ზეგავლენამ, უპასუხისმგებლობამ, ნერვიულობამ.

ასეთ რთულ პირობებში ძნელია მოუწოდოთ მშობლებს, რომ მათი შვილები ახალგაზრდობაში ახალი სასწავლო წლისთვის სასწავლებელში დაშვებული შემდეგი საცდელი წელიწადი სწავლებისთვის: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი (ფერმერული საქმიანობა); ფართო პროფილის ტრექტორისტ-მემანქანე; საბუღალტრო აღრიცხვა; ერთწლიანი სწავლებისთვის: ავტომძღოლი, შემკეთებელი-ზენკალი და საბუღალტრო აღრიცხვა, მსუარეულებს შეუძლიათ მიმართონ განცხადებით სასწავლებლის დირექციას 30 აგვისტომდე.

გვიანდა გულისტკივლით აღვნიშნავ, რომ ავტომძღოლი შემკეთებელ-ზენკალის კურსის ზოგიერთი მოსწავლე თავს არ იღებს წლის განმავლობაში სტემატურ მეცადინეობას იმიდით, რომ რაღაც მაქინატივები მაინც აიღებს მძღოლობის წიგნაკს, ღდას საკითხი პროფესიონალიზმში თვით უზრუნველყოფის კვალიფიკაციის მიხედვით ყველა ცერემონია და საჭირო არ იყოს გარეშე ორგანიზაციების ჩარევა (მხედველობაში გვაქვს ავტოინსპექტორი, ასეთ შემთხვევაში მოგაშადებო უფრო მაღალი კვალიფიკაციის მძღოლებს, იმედი გვაქვს ამ მტკივნეულ საკითხს დროულად გადაწყვეტს სამინისტრო.

ჩვენი სასწავლებლის დირექციის, თითოეული ალმობრდელ მასწავლებლის, ოსტატის მთელი საქმიანობა მიმართულია იქნით, კენ, რომ რაიონის ცალკეულ დარგებში მოუწოდებოთ მაღალკვალიფიკაციური ახალგაზრდობა ახალგაზრდობის და მათ მშობლებს კი ვთხოვთ ბევრი იფიქრონ და სწრაფად შეარჩიონ პროფესია, რადგან ეს არის უპირველესი საწინააღმდეგარო პირობა მათი მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ლიბ მოუწოდოთ რაიონის ახალგაზრდობას—მოიპოვონ ჩვენი თანატოლ მოუწოდოთ მშობლებს მოიყვანეთ თქვენი შვილი ჩვენს სასწავლებელში, თქო, მაგრამ ამ მოწოდებით თუ მივმართავთ მათ, იმ იმედით, რომ ჩვენს სასწავლებელში გაცილებით უფრო მშვიდი და საქმიანი გარემოა, ვიდრე რომელიმე ქალაქის პროფესიონალურ ელში, ჩვენს სასწავლებელში საუკეთესო ალმობრდელ-მასწავლებლები გვყავს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სწავლების თვალსაზრისით და ტექნიკური საშუალებები იმდენად იმის გარანტიას, რომ ახალგაზრდობა მიიღოს შესაფერისი პროფესია.

მართალია, გასულ წლებთან შედარებით ერთგვარად გზა უნდა მოსწავლეთ საყოფაცხოვრებო პირობები, მათი მომსახურება, მაგრამ გვჯერა, რომ უახლოეს პერიოდში ყოველივე სასიკეთოდ შეიცვლება, დღეს დღეობით სასწავლებლის ბაზა, ზრდელი დღიურად იღებს ერთ-ერთად კვებას და სტიპენდიას. სამწლიანი სწავლების მოსწავლე თვეში ლეზულის სტიპენდიას 120 მანეთამდე, ხოლო ერთწლიანი სწავლებისა—200 მანეთამდე.

ახალი სასწავლო წლისთვის სასწავლებელში დაშვებული შემდეგი საცდელი წელიწადი სწავლებისთვის: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატი (ფერმერული საქმიანობა); ფართო პროფილის ტრექტორისტ-მემანქანე; საბუღალტრო აღრიცხვა; ერთწლიანი სწავლებისთვის: ავტომძღოლი, შემკეთებელი-ზენკალი და საბუღალტრო აღრიცხვა, მსუარეულებს შეუძლიათ მიმართონ განცხადებით სასწავლებლის დირექციას 30 აგვისტომდე.

გვიანდა გულისტკივლით აღვნიშნავ, რომ ავტომძღოლი შემკეთებელ-ზენკალის კურსის ზოგიერთი მოსწავლე თავს არ იღებს წლის განმავლობაში სტემატურ მეცადინეობას იმიდით, რომ რაღაც მაქინატივები მაინც აიღებს მძღოლობის წიგნაკს, ღდას საკითხი პროფესიონალიზმში თვით უზრუნველყოფის კვალიფიკაციის მიხედვით ყველა ცერემონია და საჭირო არ იყოს გარეშე ორგანიზაციების ჩარევა (მხედველობაში გვაქვს ავტოინსპექტორი, ასეთ შემთხვევაში მოგაშადებო უფრო მაღალი კვალიფიკაციის მძღოლებს, იმედი გვაქვს ამ მტკივნეულ საკითხს დროულად გადაწყვეტს სამინისტრო.

ჩვენი სასწავლებლის დირექციის, თითოეული ალმობრდელ მასწავლებლის, ოსტატის მთელი საქმიანობა მიმართულია იქნით, კენ, რომ რაიონის ცალკეულ დარგებში მოუწოდებოთ მაღალკვალიფიკაციური ახალგაზრდობა ახალგაზრდობის და მათ მშობლებს კი ვთხოვთ ბევრი იფიქრონ და სწრაფად შეარჩიონ პროფესია, რადგან ეს არის უპირველესი საწინააღმდეგარო პირობა მათი მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ეს სიანსა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა მსოფლიოში პირველად გვთავაზობს დაზღვევის ახალ ფორმას—„დედათა დაზღვევა“.

ჩვენ არაფრისაგან ვართ დაზღვეულნი, და როგორც არასდროს, ისე გვჭირდება დღეს რაიმე სამშრომლობისაგან თუ გაურკვევლობისაგან დაზღვევა. ამდენად დედის სოციალური და ეკონომიკური დაცულობა ჩვენი ეროვნული სიმტკიცისა და წინსვლის საწინდარი უნდა იყოს. სწორედ დედისადმი უფიდესი პატივისცემის ერთ-ერთი უბუნესი ფორმაა „დედათა დაზღვევა“, რომელიც გამოიწვევს სახით თავისუფალია ყველა პირობისაგან. დედის დაზღვევის უფლება აქვს ყველა შვილს ცალ-ცალკე, ხელშეკრულებით დაიდება რესპუბლიკაში მცხოვრებ ყოველ მოქალაქესთან 18 წლის ასაკიდან. დაზღვევის გამსახადელი დაწესებულება დასაზღვევი დედის ასაკის, დაზღვევის ვადისა და სადაზღვევო თანხის ოდენობის შესაბამისად.

60 წლამდე ასაკის დედის დაზღვევა შეიძლება 3.5 ან 10 წლით, 60—დან 70 წლამდე ასაკისა—3 ან 5 წლით, 70 წლზე მეტი ასაკისა—3 წლით. სადაზღვევო თანხა წესდება დაზღვეულსა და დაზღვევის ინსპექტორს შორის შეთანხმებით. თანხა 1000 მანეთისა დაზღვევის ხელშეკრულების დადების საფუძველს წარმოადგენს.

გენს დამზღვევის მიერ ხელმოწერილი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადება.

დაზღვევით ვალდებულია დაზღვევის მთელი ვადის განმავლობაში ყოველთვიურად გადაიხადოს დაზღვევის გამსახადელი დადგენილი ტარიფის შესაბამისად. მას შეუძლია სპონტანურად გადასხდეს გამსახადელი დადგენილი ტარიფის დაზღვევის მთელი ვადის.

დედის დაზღვევა

დედის დაზღვევის ტარიფით. დაზღვევას გადასახდელის გადახდა შეუძლია როგორც უნაღწო ანგარიშსწორების გზით საწარმოს, ორგანიზაციის ზედსტრუქტურის მეშვეობით, ისე საღი ფულით. გადახდა ხდება დაზღვევის აგენტთან, რამელიც გასცემს დადგენილი ფორმის ქეითარს.

დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება წყდება ზედისეულ სამი კალენდარული თვის გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში. ხელშეკრულების აღდგენა შეიძლება 1 წლის განმავლობაში ბოლო გადასახდელის გადახდიდან გამსახადელების ერთდროულად დაბრუნებით ან დაზღვევის ვადის გაგრძელებით იმდენი ხნით რამდენი თვის გადასახდელი არ იყო გადახდილი. ამასთან დაზღვევას უფლება აქვს წერილობითი განცხადებით შეწყვიტოს ხელშეკრულება დაზღვევის ვადის გაგრძელება.

ეკრულება დაზღვევის ვადის გასვლამდე და მიიღოს გადახდა ილი გამსახადელების 80 პროცენტით.

დაზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში დაზღვეულ დედას მიეცემა გამსახადელი გადასახდელის 100 პროცენტი, თუ დაზღვევის მოვალეობა თავის თავზე არ აიღო რომელიმე შვილმა. საცხოვრებელი

დედის დაზღვევა

დედის დაზღვევის ტარიფით. დაზღვევას გადასახდელის გადახდა შეუძლია როგორც უნაღწო ანგარიშსწორების გზით საწარმოს, ორგანიზაციის ზედსტრუქტურის მეშვეობით, ისე საღი ფულით. გადახდა ხდება დაზღვევის აგენტთან, რამელიც გასცემს დადგენილი ფორმის ქეითარს.

დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება წყდება ზედისეულ სამი კალენდარული თვის გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში. ხელშეკრულების აღდგენა შეიძლება 1 წლის განმავლობაში ბოლო გადასახდელის გადახდიდან გამსახადელების ერთდროულად დაბრუნებით ან დაზღვევის ვადის გაგრძელებით იმდენი ხნით რამდენი თვის გადასახდელი არ იყო გადახდილი. ამასთან დაზღვევას უფლება აქვს წერილობითი განცხადებით შეწყვიტოს ხელშეკრულება დაზღვევის ვადის გაგრძელება.

საერთო დაავადებით გარდაცვალების შემთხვევაში დამაზღვეველს დაუბრუნდება გადახდილი გადასახდელი მთლიანად, მაგრამ თუ დაზღვეული ამ პერიოდში გარდაიცვალა უზედური შემთხვევის შედეგად, მაშინ გაიცემა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი სადაზღვევო თანხა.

არასრულწლოვან პირზე თანხის გაცემა წარმოებს მხოლოდ მის სახელზე ანაბარად შემნახველ ბანკში გადარიცხვის გზით, რის შესახებაც ეცნობება მის მეურვეს ან მზრუნველს.

დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაზღვევულთა პრეტენზიები შეიძლება წარმოგვიდგინოს იქნეს სახელმწიფო დაზღვევის ინსპექტორში, სადაც გამსახადელი ბოლო გადასახდელი სადაზღვევო შემთხვევიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო მათ შორის არსებული დედა განიხილება სახელმწიფო დაზღვევის ზემდგომი ორგანოებისა და სახალხო სასამართლოს მიერ.

„დედის დაზღვევა“ პირველ რიგში ზნეობრივი თვალსაზრისით იმსახურებს მოწოდებას და მხარდაჭერას ზნეობრივის გაზრდას. გავსწოროთ სინამდვილეს, ჩვენს ყოფას, ასეთ ცხოვრებად შემთხვევითობისა თუ კანონზომიერებისაგან არავინა ვართ დაზღვეულნი.

პ. ცვარიანი.

საერთო დაავადებით გარდაცვალების შემთხვევაში დამაზღვეველს დაუბრუნდება გადახდილი გადასახდელი მთლიანად, მაგრამ თუ დაზღვეული ამ პერიოდში გარდაიცვალა უზედური შემთხვევის შედეგად, მაშინ გაიცემა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი სადაზღვევო თანხა.

არასრულწლოვან პირზე თანხის გაცემა წარმოებს მხოლოდ მის სახელზე ანაბარად შემნახველ ბანკში გადარიცხვის გზით, რის შესახებაც ეცნობება მის მეურვეს ან მზრუნველს.

დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაზღვევულთა პრეტენზიები შეიძლება წარმოგვიდგინოს იქნეს სახელმწიფო დაზღვევის ინსპექტორში, სადაც გამსახადელი ბოლო გადასახდელი სადაზღვევო შემთხვევიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო მათ შორის არსებული დედა განიხილება სახელმწიფო დაზღვევის ზემდგომი ორგანოებისა და სახალხო სასამართლოს მიერ.

„დედის დაზღვევა“ პირველ რიგში ზნეობრივი თვალსაზრისით იმსახურებს მოწოდებას და მხარდაჭერას ზნეობრივის გაზრდას. გავსწოროთ სინამდვილეს, ჩვენს ყოფას, ასეთ ცხოვრებად შემთხვევითობისა თუ კანონზომიერებისაგან არავინა ვართ დაზღვეულნი.

პ. ცვარიანი.

სახელმწიფო დაზღვევის ცხრილის ინსპექტორი

